პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 ოქტომბერი, კვირა, 1986 წ.
№ 197 (2358) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

ჩვენ, სსრ კავშირის ხალხთა მეცხრე სპარტაკიადის ჩემპიონები და პრიზიორები, მწვრთნელები, სპორტული მუშაკები, ვეტერანი სპორტსმენები გულითად მადლობას მოვახსენებთ რესპუბლიკის პარტიასა და მთავრობას, ჩვენი სპორტული საქმიანობისადმი ზრუნვისა და ყურადღებისათვის.

თქვენი ყოველდღიური ზრუნვა ჩვენდამი კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმედ არის მიჩნეული ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურა და სპორტი, რა დიდი როლი ენიჭება მას საბჭოთა ადამიანების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში. ამიტომაც გვეამაყება და ამავე დროს ახალი მიღწევებისაკენ მოწოდებად აღვიქვამთ იმ ფაქტსაც, რომ საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებათა ნიშნად 19-ჯერ გაისმა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჰიმნი.

სამშობლო ჩვენგან ახალ წარმატებებს ელის, გარდაქმნათა ეპოქა ახალი ამოცანების გადაწყვეტისაკენ მოგვიწოდებს. ახლა განსაკუთრებული აზრითა და ძალით ჟღერს ოდითგანვე ცნობილი ის გამოთქმა, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია, — დიახ, დღეს, როდესაც რესპუბლიკაში ამდენი რამ კეთდება ადამიანთა სულიერი გაჯანსაღებისათვის, ყველგან და ყველაფერში ჯანსაღი ყოფის დამკვიდრებისათვის, ჩვენს უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია ვიდგეთ ამ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის წინა ხაზზე. სპორტული წარმატებები ადამიანთა ხალასი გუნება-განწყობილების ამაღლების საშუალებაც არის, ამიტომაც ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ, რომ ამ მხრივაც იმატოს ჩვენმა წვლილმა რესპუბლიკის მშრომელთა საერთო წარმატებებში.

თავმოწონება არა მხოლოდ მაღალი სპორტული მიღწევებით, არამედ ფიზიკური კულტურისა და სპორტის ჭეშმარიტი მასობრიობით, საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი დანერგვით — აი, რა არის ჩვენი ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის დედააზრი.

გამოვხატავთ რა თითოეული ჩვენგანის საერთო სურვილსა და განწყობილებას, გარწმუნებთ, რომ ენერგიას და მონდომებას არ დავიშურებთ ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელებისათვის, კვლავაც ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენი საყვარელი რესპუბლიკის სახელისა და სპორტული პრესტიჟისათვის, საბჭოთა სპორტის სადიდებლად, ვიქნებით ღირსეული მოქალაქენი, კომუნისტური პრინციპების, ჯანსაღი ცხოვრების წესის გამტარებლები და პროპაგანდისტები.

**სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონები:** მაია აზარაშვილი, გოდერძი ახობაძე, გიორგი ალაპიშვილი, ლევან ბასილაშვილი, ვახტანგ ბოტკოველი, ტარიელ ბიწაძე, ავთანდილ გოგოლიშვილი, დავით გობეჯიშვილი, ავთანდილ გუბელაძე, ვლადიმერ გოგოლაძე, ეკა ზუთურიძე, კობა კურტანიძე, აკაკი კიბორძალიძე, ალექსანდრ ლებედევი, ფატიმა სულაქველიძე, ოლეგ სტრიჟაკოვი, ოლეგ ხლივკოვი, რუსუდან ხოფერია, ლერი ხაბელოვი, გიორგი ჩოგოვაძე, ვახტანგ ჯაფარიძე. **ვერცხლის პრიზიორები:** მერაბ ბაზაძე, ალექსანდრე ბითაძე, მიხეილ გიორგაძე, გიორგი გობეჯიშვილი, ირაკლი გვარამაძე, რუდიკ კაზანჯიანი, მამუკა კელაურიძე, გიორგი კერესელიძე, თეიმურაზ კობახიძე, ირაკლი ლიპარტელიანი, ლევან სულაძე, გიორგი სირბილაძე, ნიკოლოზ მიქაუტაძე, აკაკი მახარაძე, ზაზა მჭედლიძე, ვარლამ მაჭავარიანი, დიმიტრი რამიშვილი, დავით თურქია, ზაზა თურმანიძე, ხვიჩა ხდრიანი, ნოდარ ჩოლარია, მიხეილ ფანჩულიძე, ვასილ ქარსელაძე, თემურ ლვალაძე. **ბრინჯაოს პრიზიორები:** ელენე აბაზაძე, ნატალია ანისიმოვა, სპარტაკ ახანიძე, იანა ალავიძე, ამირან ბერიანიძე, გენადი გოლუნოვი, ინგა გიორგობიანი, ენგურ გოგიჩაშვილი, ნინო გელაშვილი, ოლგა დიაკოვა, ანჟელა ვოზნიუკი, ვახტანგ იაგორაშვილი, გენადი კიზირია, ნინო მაისურაძე, ელიკო მარგველაშვილი, პელა მამიაური, ოთარ მჭედლიშვილი, ზურაბ მემარნიშვილი, ვახტანგ მინაშვილი, იზოლდა მთავრიშვილი, ლერი ნაკანი, ნინო სალუქვაძე, ლევან სისაური, აკაკი ხიზანიშვილი, ზაზა ხომასურიძე, დავით ხოდელი. ფიქრია ფანქველაშვილი, ხრისტინა ფალასინიდი, თამარ ქუმსიაშვილი, ევგენია შირინკინა, მარინე შალაშვილი, ნუგზარ ლვინიაშვილი, რობერტ ძიძიშვილი, ინგა ჩხაიძე.

## ვიდრე დიდოსტატები თამაშობენ

**ფინიშზე შესამჩნევად დაიძაბა მაია ჩიბურდანიძისა და ელენა ახმილოვსკაიას ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის. მართალია, წინ კვლავ მსოფლიო ჩემპიონია (ანგარიშია 7:4), მაგრამ ლიდერმა ბორჯომში ჯერჯერობით ვერააწყო თამაში. ჩვენ დიდოსტატთა პაექრობის ანალიზს არ შევუდგებით. ეს მომავლის საქმეა. ახლა ბორჯომში საჭადრაკო ცხოვრება დუღს. დღეს სწორედ იმაზე გვინდა ვილაპარაკოთ.**

### მატჩის ეპიცენტრი

მატჩის მაჯისცემა ყველაზე ძალუმად პრესცენტრში იგრძნობა. ჟურნალისტები, იცით, მოუსვენარი ხალხია. ყოველ სვლას ძირისძირამდე აანალიზებენ, ცდილობენ მეტოქეთა ჩანაფიქრი გამოიცნონ, იქაურობის სული და გულია თვით პრესცენტრის ხელმძღვანელი თბილისელი დიდოსტატი გენადი ზაიჩიკი. პირველ ყოვლისა, მან უნდა გაიგოს ყველაფერი, რათა იქვე, სახელდახელოდ გამოუშვას სპეციალური ბიულეტენი, რომლის შინაარსს კორესპონდენტები დაუყოვნებლივ გადასცემენ თავიანთ რედაქციებს. პრესცენტრი ჟურნალისტების მუშაობისათვის საუცხოო

იხ. მე-4 გვ.

### ინფორმაცია

**პარიზი.** საფრანგეთის ამ ქალაქში გაიმართა საფრანგეთისა და სსრ კავშირის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ფრანგებმა. ერთი ბურთი საბჭოთა ნაკრებიდან გაიტანა ტატარჩუკმა.

**ჰამბურგი.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატში „შტუტგარტმა“, რომელიც მოსკოვის „ტორპედოს“ მეტოქეა თასების მფლობელთა თასის ტურნირში, მარცხი განიცადა „ჰამბურგთან“ შეხვედრაში — 0:2. მანამდე „შტუტგარტს“ 8 მატჩი ჰქონდა ჩატარებული წაუგებლად.




## მაია ჩიბურდანიძე — ელენა ახმილოვსკაიას მატჩი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის

# მეთორმეტე პარტია

**მსოფლიოს** ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს დარჩენილ ოთხ პარტიაში მხოლოდ ნახევარი ქულა ჰყოფნის, რათა შეინარჩუნოს ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის დედოფლის გვირგვინი. 11 ოქტომბერს მე-12 პარტიაში ელენა ახმილოვსკაიასთან მან შავებით ყაიმს მიაღწია 25-ე სვლაზე. ანგარიში გახდა 7,5:4,5 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

მე-13 პარტია, რომელშიც თეთრი ფიგურებით ჩემპიონი ითამაშებს, რეგლამენტით 14 ოქტომბერს უნდა გაიმართოს.

### ინტერვიუს იძლევა პრესცენტრის ხელმძღვანელი

**გაზეთ** „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტები ნ. ბორისოვი და გ. პოპოვი ესაუბრნენ გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩის პრესცენტრის ხელმძღვანელს, საერთაშორისო დიდოსტატ ედუარდ გუფელდს (თბილისი). ინტერვიუ შედგა 22-ე პარტიის წინ და დაიბეჭდა 7 ოქტომბრის ნომერში.

„ლელოს“ მკითხველთათვის მოგვყავს მცირე ტექსტი ამ საინტერესო ინტერვიუდან:

„— **თქვენ მაია ჩიბურდანიძის მუდმივი მწვრთნელი ბრძანდებით, რატომ არ ხართ მასთან ერთად მსოფლიო ჩემპიონობისთვის მატჩში?**

— იმიტომ, რომ იგი უჩემოდ უკეთესად თამაშობს, ვიდრე ჩემთან ერთად.

— **მატჩის პირველ ნახევარში ჩიბურდანიძემ საგრძნობ უპირატესობას მიაღწია. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ამ ციკლში მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონი არ იქნება?**

— ამდენი ქულის მოგება ჩიბურდანიძისთვის (იმედი მაქვს, ჩემგან ეს არ ეწყინება ლენა ახმილოვსკაიას) ახლა შეუძლია, და ისიც, თუ ძალიან გაუმართლდათ, მხოლოდ ოთხ მოჭადრაკეს — კასპაროვს, კარპოვს, იუსუპოვს ან სოკოლოვს. მაგრამ ისინი დიდად დაკავებულნი არიან თავიანთი საქმეებით. გასაგებია, ეს ხუმრობაა“.

## რა გაკეთდა „ლელოს“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ?

**თქვენი გაზეთის 30 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული მასალა თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტდარბაზის ერთ-ერთი კუთხის ტექნიკური მოუწესრიგებლობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ივლის-აგვისტოს თვეში სპორტდარბაზში ჩატარდა მისაღები გამოცდები, რის გამოც ვერ მოხერხდა იმ პერიოდში დარბაზში რემონტის ჩატარება. შემდეგ დარბაზი დროულად მოწესრიგდა. ინსტიტუტი სრულიად მომზადებული შეხვდა ახალ სასწავლო წელს.**

**ვახტანგ სართანია,**
**ინსტიტუტის პრორექტორი, დოცენტი.**

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# სხვაობა გაიზარდა

**შვიდთვიანი** შესვენების შემდეგ განახლდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა 42-ე საკავშირო ჩემპიონატი. მეექვსე ტურის მატჩებით დამთავრდება შეჯიბრების პირველი ეტაპი და გამოვლინდება ის ექვსი კოლექტივი, რომლებიც საპრიზო ადგილებისთვის თამაშებს გააგრძელებენ (მეორე ექვსეული, ბუნებრივია, უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძოლებს).

ფინალისტთა ექვსეულში თამაში ხუთ კოლექტივს, ფაქტიურად, განაღდებული აქვს. ესენია მოსკოვისა და ალმა-ათის „დინამო“, მოსკოვის „უნივერსიტეტი“, ლვოვის „დინამო“ და ცსკ ვმფ. ერთი დარჩენილი საგზურისათვის იბრძვიან „მოსკვიჩი“ და თბილისის დინამოელები. მაგრამ დედაქალაქის წყალბურთელებს ოდნავ უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ, ვინაიდან ჩვენს გუნდს 2 ქულით უსწრებდნენ.

**მოსკოვი.** ახლა ეს სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა, ვინაიდან თბილისელებმა მეორე წრის მეექვსე ტურის პირველი მატჩი ლვოვის „დინამოსთან“ დაძაბული ბრძოლის შემდეგ წააგეს (11:12), „მოსკვიჩმა“ კი, რომელიც ხარკოვის ჯგუფში ასპარეზობს, მორიგ წარმატებას მიაღწია. თბილისელებმა ლვოვის თანაკლუბელებთან შეხვედრის მეორე პერიოდი ძლიერად ჩაატარეს და დიდი უპირატესობით მოიგეს — 4:1, აი, დანარჩენ სამ პერიოდში კი უპირატესობა უკრაინელთა მხარეს იყო — 4:3, 4:3 და 3:1.

ამ დღეს მოსკოვში კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა: „დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 10:9, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ალმა-ათა) 9:3.

**თბილისელებს სათამაშო დარჩათ ორი მატჩი ალმა-ათისა და კიევის დინამოელებთან.**

**ხარკოვი.** როგორც უკვე ვთქვით, „მოსკვიჩმა“ ორი მეტად საჭირო ქულა მოიგო ბაქოს წყალბურთელებთან შეხვედრაში—7:6. ცსკა ვმფ-მ ხარკოვის „ლოკომოტივი“ დაამარცხა — 12:8, მოსკოვის „უნივერსიტეტმა“ კი — ლენინგრადის „ბალტიკა“ — 12:6.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 11 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკოვი) | 20 | 18 | 2 | 0 | 198-122 | 38 |
| „დინამო“ (ალმა-ათა) | 20 | 12 | 4 | 4 | 185-148 | 28 |
| „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) | 20 | 12 | 4 | 4 | 177-134 | 28 |
| „დინამო“ (ლვოვი) | 20 | 11 | 4 | 5 | 177-152 | 26 |
| ცსკ ვმფ | 20 | 12 | 1 | 7 | 181-157 | 25 |
| „მოსკვიჩი“ | 20 | 9 | 3 | 8 | 130-136 | 21 |
| „დინ.“ (თბ.) | 20 | 6 | 5 | 9 | 151-166 | 17 |
| კკფ (ბაქო) | 20 | 4 | 8 | 8 | 167-183 | 16 |
| „დინამო“ (კიევი) | 20 | 6 | 2 | 12 | 144-178 | 14 |
| „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) | 20 | 5 | 3 | 12 | 137-181 | 13 |
| „ბალტიკა“ (ლენინგრ.) | 20 | 5 | 2 | 13 | 142-177 | 12 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 20 | 0 | 2 | 18 | 151-196 | 2 |

# ვინც საქართველო ასახელა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაია აზარაშვილი
მძლეოსნობა (ორი I ადგილი)



ფატიმა სულაქველიძე
აკრობატიკა (I)



ავთანდილ გოგოლიშვილი
თავისუფალი ჭიდაობა (I)



ლერი ხაბელოვი
თავისუფალი ჭიდაობა (I)



დავით გობეჯიშვილი
თავისუფალი ჭიდაობა (I)



ვლადიმერ გოგოლაძე, ეკა ზეთურიძე, ალექსანდრ ლებედევი
სპორტული ტანვარჯიშში (სამივე I ადგილი)




საქართველოს სპორტულ რუკაზე, როგორც ხედავთ, ოცდარვა აღნიშვნაა, მითითებულია საქართველოს დელეგაციაში სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სპორტსმენთა რაოდენობა (ფრჩხილებში ნაჩვენებია მათ მიერ მოპოვებულ ქულათა რაოდენობა).

## საბოლოო შედეგები

| | | |
|---|---|---|
| 1. | რუსეთის ფედერაცია | 13801 ქულა |
| 2. | უკრაინა | 12738,5 |
| 3. | მოსკოვი | 9653 |
| 4. | ბელორუსია | 8670,3 |
| 5. | ლენინგრადი | 6933,8 |
| 6. | ყაზახეთი | 5424,75 |
| 7. | საქართველო | 4253,5 |
| 8. | უზბეკეთი | 4159,55 |
| 9. | ლიტვა | 3846,8 |
| 10. | ლატვია | 3031,5 |
| 11. | მოლდავეთი | 3028 |
| 12. | ესტონეთი | 2147,5 |
| 13. | სომხეთი | 2054,5 |
| 14. | აზერბაიჯანი | 2019,05 |
| 15. | ტაჯიკეთი | 963 |
| 16. | ყირგიზეთი | 947,5 |
| 17. | თურქმენეთი | 462,25 |

## მედლები, მედლები...

| | | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | ქულები |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | რუსეთის ფედერაცია | 89 | 65 | 60 | 1188 |
| 2. | უკრაინა | 59 | 68 | 57 | 981 |
| 3. | მოსკოვი | 43 | 39 | 35 | 636 |
| 4. | ბელორუსია | 30 | 37 | 43 | 567 |
| 5. | ლენინგრადი | 21 | 15 | 29 | 338 |
| 6. | ყაზახეთი | 12 | 19 | 25 | 279 |
| 7. | საქართველო | 19 | 8 | 18 | 245 |
| 8. | უზბეკეთი | 11 | 10 | 11 | 171 |
| 9. | ლიტვა | 5 | 5 | 16 | 124 |
| 10. | სომხეთი | 5 | 10 | 9 | 121 |
| 11. | ლატვია | 8 | 5 | 9 | 117 |
| 12. | აზერბაიჯანი | 5 | 6 | 9 | 101 |
| 13. | მოლდავეთი | 3 | 7 | 10 | 96 |
| 14. | ესტონეთი | 3 | 8 | 7 | 89 |
| 15. | ტაჯიკეთი | — | 4 | 1 | 24 |
| 16. | ყირგიზეთი | 2 | 1 | 1 | 23 |
| 17. | თურქმენეთი | — | 1 | 1 | 9 |

შენიშვნა: ქულები დარიცხულია ოლიმპიური სისტემით. ოქროს მედალი — 7 ქულა, ვერცხლისა — 5, ბრინჯაოსი — 4.



ზაზა თურმანიძე
თავისუფალი ჭიდაობა (II)



გიორგი სირბილაძე
აკადემიური ნიჩბოსნობა (II)



ხვიჩა ხდრიანი
კრივი (II)



ალბერტ კაზანჯიანი
კრივი (II)



ნინო სალუქვაძე
ტყვიის სროლა (III)



ლერი ნაკანი
ძიუდო (III)



ოთარ მჭედლიშვილი
ველოსპორტი (III)





ვასილ ქარსელაძე
კლასიკური ჭიდაობა (II)



ნიკოლოზ მიქაუტაძე
ნიჩბოსნობა (II)



გენადი გოდუნოვი
ველოსპორტი (III)



ზურაბ მემარნიშვილი
მძლეოსნობა (III)



ვახტანგ იაგორაშვილი
თანამედროვე ხუთჭიდი (III)



# ...ნც გაგვახარა

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონები და პრიზიორები



...ნ ბასილაშვილი
(I)



ვახტანგ ჯაფარიძე
ძიუდო (I)



კობა კურტანიძე
ძიუდო (I)



ავთანდილ გუგელაძე
ძიუდო (I)



აკაკი კიბორძალიძე
ძიუდო (I)



ოლეგ სტრიჟაკოვი
მძლეოსნობა (I)



ტარიელ ბიწაძე
მძლეოსნობა (I)



გიორგი ჩოგოვაძე
წყალში ხტომა (I, III)



საქართველოს აკრობატთა გუნდი (მარცხნიდან): ვახტანგ ბოტკოველი, მარინე შალაშვილი, ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგობიანი, გიორგი ალაპიშვილი, ფატიმა სულაქველიძე, ოლეგ სლივკოვი, გოდერძი ახობაძე. გოგონათა სამეული (III), ვაჟთა ოთხეული (I)



რუსუდან ხოშტარია
ბატუტზე ხტომა (I)






წყალბურთელთა ნაკრები (II)



მხატვრული ტანვარჯიში. ჯგუფური ვარჯიში (III)





დავით ხოდელი
სამბო (III)



რობერტ ძიძიშვილი
სამბო (III)



ვახტანგ მინაშვილი
მძლეოსნობა (III)





საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდი (მარცხნიდან): ამირან ბერიანიძე, ნუგზარ ლვინიაშვილი, ზაზა ხომასურიძე, ალექსანდრ ლებედევი, ლევან სისაური, ვლადიმერ გოგოლაძე.

საქართველოს ნაკრები სინქრონულ ცურვაში (მარცხნიდან): ხრისტინა ფალასინიდი, ლეილა მამიაური, იანა ალავიძე, ნინო გელაშვილი, ელისო მარგველაშვილი, ნინო მაისურაძე, ანჟელა ვოზნიუკი, ოლგა დიაკოვა.



# ფიდრე დიდოსტატები თამაშობენ

დასასრული

პირობებია შექმნილი. მთავარი წყაროა მონიტორი, რომელზეც დარბაზში დადგმული სადემონსტრაციო დაფაა გამოსახული. კორესპონდენტის განკარგულებაშია რამდენიმე ტელეფონი. წამში შეიძლება დაუკავშირდე თბილისს, მოსკოვს... მემანქანე ლილი სიხარულიძე სწრაფად ბეჭდავს პრესცენტრის ბიულეტენებს. მაგიდებზე გაშლილია ჭადრაკი. აქ კოლექტიურად არჩევენ პარტიაში შექმნილ პოზიციას.

## დემონსტრატორები

ბორჯომშიც, როგორც სოფიაში, დემონსტრატორებად მოჭადრაკე გოგონები მიიწვიეს. თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ნინო გელავა და ბორჯომელი პირველთანრიგოსანი ნაზი გელაშვილი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დაკისრებულ მოვალეობას.

— ადვილი არ ყოფილა პარტიის ჩვენება, ისიც ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაში, — გვითხრა ნაზი გელაშვილმა — ჩემმა შეცდომამ შეიძლება მეტოქეებიც კი აალელვოს.

ნაზიმ მხოლოდ ერთხელ დაუშვა შეცდომა, როცა მეცხრე პარტიის დამთავრების შემდეგ, რომელიც ახმილოვსკაიამ მოიგო, დაფაზე წარწერა „ყაიმი" გამოაკრა. ასეთი შემთხვევა, ცხადია, აღარ გამეორებულა. გოგონები ჩინებულად მუშაობენ.

## სტუმრები

დარბაზში, რომელიც 800 მაყურებელს იტევს, შეხვდებით ჭადრაკის ქომაგებს საბჭოთა ქვეყნის მრავალი ქალაქიდან. ისინი ძირითადად ბორჯომის და ლიკანის სანატორიუმების დამსვენებლები არიან.

ორი ბულგარელი სტუმარიც გვყავს. ბულგარეთის ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ივანე ფილიპოვი და ბულგარეთის საჭადრაკო ჟურნალის „შახმატნი მისლის" მთავარი რედაქტორი, ბულგარეთის პირველი საერთაშორისო დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში პეტკო პეტკოვი, რომელიც მატჩის სოფიის ნახევრის პრესცენტრს ხელმძღვანელობდა.

— ულამაზესი ქვეყანაა. დავათვალიერეთ თბილისი, ვიყავით ვარძიაში, ატენის სიონში, გორში, ვნახეთ იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმი. ბორჯომი ნამდვილი სამოთხე ყოფილა. მატჩი შესანიშნავადაა ორგანიზებული. დიდი მადლობა საქართველოს სპორტის მესვეურებს მოწვევისა და გულთბილი მასპინძლობისთვის, — გვითხრა პეტკო პეტკოვმა.

## რა ხდება ფოიეში?

მატჩის ორგანიზატორებმა საუცხოოდ ააწყვეს საქმე. დიდ ფოიეში დადგმულია ტელევიზორი, რომლის ეკრანზე პარტიაში შექმნილი პოზიცია მოჩანს. იქვე ტარდება ერთდროული თამაშის სეანსები. გულშემატკივრებს ხვდებიან ცნობილი მოჭადრაკეები — საერთაშორისო ოსტატი იური ანიკაევი, ოსტატები ალბერტ კაპენგუტი, ანატოლი მაცუკევიჩი და სხვები.

საკონცერტო დარბაზის ჰოლში იყიდება მატჩის პროგრამა, საჭადრაკო დამატება „მერანი", სპეციალური ბიულეტენი „ზა შახმატნუიუ კორონუ", წიგნები, სამკერდე ნიშნები...

## მოკლე ინტერვიუ

მატჩის მთავარ მსაჯს რუდოლფ მარიჩს ვკითხე, ბორჯომში თუ აისრულეთ გულის წადილი, ველოსიპედით თუ დადიხართ მეთქი.

გაიცინა და მიპასუხა:

— დავდივარ, ოღონდ ერთ ადგილზე. ველოსიპედით სად გინდა წახვიდე, ირგვლივ მთებია. მასპინძლებმაც ველოტრენაჟორი მიშოვნეს და როგორც ბულგარეთში, ჩემს 12 კილომეტრს მაინც „გავდივარ". ხანდახან აუზშიც დავდივარ.

## მხოლოდ შორიდან...

ბორჯომის ხეობაში ოქროს შემოდგომა დგას. რამდენჯერმე ტყეპარკში მოსეირნე მაიასა და ელენას მოვკარი თვალი, ახლობლებთან და სეკუნდანტებთან ერთად.

**თენგიზ გიორგაძე.**
**(„ლელოს" სპეც. კორ.).**
ბორჯომი-თბილისი.

სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის

# მასპინძლობს ყირგიზეთის დედაქალაქი

**ფრუნზე**, 11 ოქტომბერი (**დეპეშით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი**). 9 ოქტომბერს ყირგიზეთის დედაქალაქში, ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში გაიხსნა საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა 46-ე ჩემპიონატი ჭადრაკში. შეგახსენებთ, რომ ამ შეჯიბრებაში I-IV ადგილებზე გასული მოჭადრაკეები საზონათშორისო ტურნირის საგზურებს მიიღებენ.

კენჭისყრის შედეგად მონაწილენი ასეთი თანამიმდევრობით განლაგდნენ: ჰენრიეტა ლაგვილავა (ქუთაისი), ქეთევან არახამია (თბილისი), გულნარა სახატოვა (ალმა-ათა), მარტა ლიტინსკაია (ლვოვი), ირინა ლევიტინა (ლენინგრადი), ზოია ლელჩუკი (ლვოვი), ნინო გურიელი (თბილისი), ტატიანა ვორონოვა (რიგა), ესფირ ეპშტეინი (კლაიპედა), სვეტლანა მატვეევა (ფრუნზე), კამილე ბაგინსკაიტე (ვილნიუსი), ლიდია სემიონოვა (კიევი), ნანა იოსელიანი (თბილისი), ლარისა მუჩნიკი (ნიკოლაევი), სვეტლანა პრუდნიკოვა (ბალაკოვო), ნატალია რუჩიევა (სევასტოპოლი), ფლორა უსკოვა (ალმა-ათა), ლიუდმილა ზაიცევა (მოსკოვის ოლქი).

10 ოქტომბერს მოეწყო პირველი ტურის შეხვედრები. იოსელიანს დიდი უპირატესობა ჰქონდა ლელჩუკთან შეხვედრაში, მაგრამ ცაიტნოტში შეცდომა დაუშვა და პარტია წააგო. ლაგვილავა დამარცხდა ზაიცევასთან, დაზავდნენ ვორონოვა და ბაგინსკაიტე, ეპშტეინი და მატვეევა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. გურიელსა და არახამიას უკეთესი პოზიციები აქვთ სემიონოვასთან და უსკოვასთან შეხვედრებში.

**იაკობ ლაპიდუსი.**

# ორი შემადგენლობით

**კაუნასი.** საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ადგილობრივმა „ჟალგირისმა" წარმატებით განვლო კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი შესარჩევი ტური. ბუქარესტის „სტიაუასთან" სტუმრად გამარჯვების შემდეგ (107:90) ლიტველებმა მეტოქეს შინ უმასპინძლეს.

ამჯერად „ჟალგირისი" ორი შემადგენლობით თამაშობდა და ხუთეულებს ყოველ ათ წუთში ცვლიდა. ასეთმა ტაქტიკამ ჩემპიონს ახალი წარმატება მოუტანა. ლიტველებმა მეორედაც გაიმარჯვეს — 108:79.

ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელები იყვნენ პ. ბრენიშტიანუ („სტიაუა") — 27 ქულა და ა. საბონისი („ჟალგირისი") — 20 ქულა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ლიდერის გარეშე თამაში ძნელია

გრძელდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტური.

**მოსკოვი.** თბილისის „დინამომ", რომელიც ჩემპიონატის პირველი ტურის შემდეგ ლიდერი იყო, კიდევ ერთი დამარცხება განიცადა. თბილისელებს ლიდერის — ნ. დერიუგინის გარეშე, ცხადია, უჭირთ თამაში, მაგრამ უმაღლესი ლიგის დებიუტანტთან ალმა-ათის არმიელებთან შეხვედრის პირველ ნახევარში თითქოს არაფერი ემუქრებოდათ. ყოველ შემთხვევაში ტაიმი 8 ქულით (40:32) მოიგეს და საფიქრებელი იყო, რომ ამ სხვაობას თუ არ გაზრდიდნენ, შეინარჩუნებდნენ მაინც.

მაგრამ მოხდა პირიქით. თბილისელებმა მეორე ნახევარში დათმეს ინიციატივა, რითაც კარგად ისარგებლეს მეტოქეებმა და თამაშში გარდატეხა შეიტანეს. საერთოდ ამ მატჩში ორთავე გუნდის მცველები თავდამსხმელებზე უკეთ თამაშობდნენ, რაც, სხვათა შორის, ანგარიშსაც ეტყობა. ალმა-ათის ასკ-მ გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერა — 65:62.

თბილისის „დინამო" ლიდერთა ჯგუფში ინარჩუნებს ადგილს იმის გამო, რომ მისი მეტოქეები — მინსკის რტი და მოსკოვის „დინამო" ამ დღეს დამარცხდნენ.

მოსკოვის დინამოელებმა ცსკა-ს სერიოზული მეტოქეობა ვერ გაუწიეს და ბრძოლა ფაქტიურად პირველივე ტაიმში დათმეს — 38:51. მეორე ნახევარიც არმიელთა უპირატესობით აღინიშნა, რომლებმაც სატურნირო ცხრილში მეხუთე გამარჯვება ჩაიწერეს — 95:89.

**კიევი.** ჯგუფის უდავო ფავორიტად ადგილობრივი არმიელები უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც შეხვედრას შეხვედრაზე იგებენ და ლიდერს კვალდაკვალ მისდევენ. ამ ტურში კიევის ასკ-მ მინსკის რტი დაამარცხა — 84:82 (50:44).

აღსანიშნავია ნევისპირელთა ეს ტი თამაში მიმდინარე ჩემპიონატში. „სპარტაკმა" უკვე მეხუთე მარცხი განიცადა. ამჯერად მას ადგილობრივმა „სტროიტელმა" მოუგო — 99:82 (54:52).

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 11 ოქტომბრისათვის**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 6 | 5 | 1 | 531-482 | 11 |
| ასკ (კიევი) | 6 | 5 | 1 | 515-478 | 11 |
| „სტროიტ." (კ.) | 6 | 4 | 2 | 532-500 | 10 |
| „დინამო" (თბ.) | 6 | 4 | 2 | 486-471 | 10 |
| „დინ." (მოსკ.) | 6 | 3 | 3 | 544-532 | 9 |
| რტი (მინსკი) | 6 | 3 | 3 | 512-497 | 9 |
| „სპარტ." (ლენ.) | 6 | 1 | 5 | 504-521 | 7 |
| ასკ (ალმა-ათა) | 6 | 1 | 5 | 435-498 | 7 |
| „შახტ." (დონ.) | 4 | 2 | 2 | 321-336 | 6 |
| „ჟალგ." (კაუნ.) | 4 | 2 | 2 | 300-310 | 6 |
| ვეფ (რიგა) | 4 | 1 | 3 | 331-352 | 5 |
| „სტატ." (ვილ.) | 4 | 1 | 3 | 340-369 | 5 |

# „რთველი—86"





ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა 150-კაციანი რაზმი „მორკინალი" წარმატებით შრომობს საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრებში. ბიჭებს უამინდობამ შეუშალა ხელი, მაგრამ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ვალდებულება უთუოდ შეასრულონ, ამიტომ ისინი ყოველდღიურ ნორმას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. 10 ოქტომბრისთვის მათ მოკრეფილი ჰქონდათ 400 ტონაზე მეტი ყურძენი, ვალდებულება კი 500 ტონას ითვალისწინებს.

დღეს სტუდენტთა დასახმარებლად ნინოწმინდაში გაემგზავრა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა 30-კაციანი ჯგუფი. ვალდებულება უთუოდ შესრულდება.

სპორტული მეგობრობის მერიდიანები

# ამჯერად ქუთაისში

როგორც ვიუწყებოდით, რუმინეთის რეგბისტთა გუნდმა „გრივიცა როშიემ" კიდევ ერთი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა — ამჯერად ქუთაისში „მშენებელთან". დღეს გთავაზობთ ამ შეხვედრის დაწვრილებით ანგარიშს.

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი.

**„მშენებელი" (ქუთაისი) — „გრივიცა როშიე" (ბუქარესტი, რუმინეთი) — 12:10 (6:10).**

**„მშენებელი": ობოლაძე, ტურძელაძე, ლილუაშვილი, გრიგალავა (უგრეხელიძე), წივწივაძე, ოდიშარია, თხელიძე, ნაჭყებია, გიორგაძე, გიორგობიანი, ხამაშურიძე, ნემსიწვერიძე, ხუჭუა (ძოწენიძე), ყორყოლიანი, ძაგნიძე.**

**„გრივიცა როშიე": ბიალანი, ილკა, იონი, სტროე, პონგრაცი, მორარუ, გურემარე, დინუ, ნიაგა, რადუ, კამაფეტიანუ, მარინი, ტუდორი, კირუეი, ანტონი (ნიკოლაე).**

**მსაჯი: ვ. ტუდორი (მოსკოვი).**

**გოლები: „მშენებელი" — ჯარიმა: ძაგნიძე, ხამაშურიძე, გიორგაძე (15, 64, 70); „დროპ-გოლი": ძაგნიძე (33).**

**„გრივიცა როშიე" — დამიწება: მარინი (19), „დროპ-გოლი": რადუ (24, 26).**

ქუთაისელ რეგბისტებს საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის არც თუ ისე დიდი გამოცდილება აქვთ. „მშენებელმა" არსებობის 20 წლის მანძილზე მხოლოდ ოთხი საერთაშორისო მატჩი ჩაატარა და ოთხივე საკუთარ მოედანზე. ჩვენმა გუნდმა უელსის ქალაქ რიმნის საკლუბო გუნდს ორივე შეხვედრა მოუგო, საფრანგეთის „იუსფერთან" კი ორივე მატჩში დამარცხდა. და აი, 8 წლის შემდეგ, რიონისპირელმა რეგბისტებმა მეხუთე საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს, ამჯერად რუმინეთის „გრივიცა როშიესთან", გუნდთან, რომელმაც ორიოდე დღის წინ დამაჯერებელი ანგარიშით დაამარცხა თბილისის ნაკრები.

შეხვედრა საკმაოდ დაბალ ტემპში დაიწყო, მეტოქეები თითქოს ერთმანეთს ზვერავდნენ და არ ცდილან ბრძოლის გამწვავებას. თუმცა უკვე მეხუთე წუთზე, ქუთაისელთა შეტევის დროს, რუმინელები თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ძაგნიძემ 30-35 მეტრიდან ვერ შეძლო საჯარიმო დარტყმის გამოყენება. ამის შემდეგ მასპინძლები შედარებით გააქტიურდნენ. ისინი ხშირად ფლობდნენ ბურთს, სამმეოთხედელები ცდილობდნენ ზუსტი გადაცემებით მჭიდროდ მიახლოვებოდნენ სტუმართა ჩათვლის მოედნის მისადგომებს. მე-15 წუთზე ლილუაშვილი შეეცადა ცენტრში მეტოქის ხაზი გაერღვია, მაგრამ იგი აკრძალული ხერხით შეაჩერეს. 22-მეტრიანი ზონის ხაზთან დანიშნული საჯარიმო დარტყმის ზუსტად შესრულება ძაგნიძეს არ გასჭირვებია — 3:0.

ამის შემდეგ რუმინელებმა მკვეთრად მოუმატეს ტემპს და სამმეოთხედელთა სწრაფი, გააზრებული და აგრესიული თამაშით ერთგვარი უპირატესობაც მოიპოვეს, ოსტატურად თამაშობდნენ ხელით და რამდენჯერმე შეძლეს მარაოს გაშლა. „გრივიცა როშიეს" მცველი და სამმეოთხედელები ეფექტურად უტევდნენ, მეტოქეს იერიშის წამოწყების საშუალებას არ აძლევდნენ. სწორედ ერთი ასეთი მორიგი შეტევის დროს ფრთის სამმეოთხედელებმა დროზე გაიყვანეს გარღვევაზე მესამე ხაზის თავდამსხმელი, რომელმაც კარგად ისარგებლა ქუთაისელთა დაცვის მარცხენა ფრთის მიერ დაშვებული შეცდომით. სწრაფ მარინის არ გასჭირვებია ბურთის დამიწება.

აღსანიშნავია, რომ ამდენი არეკნით დარტყმა არც ერთ კალენდარულ შეხვედრაში არ გვინახავს. დიახ, რუმინელები თითქმის ყველა მდგომარეობიდან ცდილობდნენ კარში ზუსტად დაერტყათ. ზედიზედ ორჯერ რუმინელთა ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ რადუმ საკმაოდ შორი მანძილიდან ორი „დროპ-გოლი" გაიტანა და კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი. ამის შემყურე ქუთაისელი რეგბისტებიც რამდენჯერმე შეეცადნენ გამოეყენებინათ ეს ილეთი და 30-ე წუთზე ძაგნიძემ ასევე ეფექტური „დროპ-გოლი" გაიტანა — 6:10. ასეთი ანგარიშით დამთავრდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა, რუმინელები ყურადღებით თამაშობდნენ დაცვაში, თითქმის ყველა მდგომარეობაში ახერხებდნენ მოწინააღმდეგის შებოჭვას და ქუთაისელებს გაუჭირდათ სტუმართა „ქალაქთან" მიახლოება, ეს მაშინ, როცა „გრივიცა როშიეს" სწრაფი და ტექნიკური სამმეოთხედელები, რომლებიც ოსტატურად თამაშობენ ხელით, ბევრ პრობლემას უქმნიდნენ „მშენებლის" მცველებს. ამ ძნელ წუთებში თავისი სიტყვა თქვეს ქუთაისელმა მორკინალებმა. სწორედ ამ ხაზის მოთამაშეთა მონდომებულმა და თავგანწირულმა თამაშმა შეაძლებინა მასპინძლებს გამოცდილი მეტოქის დამარცხება. ქუთაისელ თავდამსხმელთა შეტევის დროს სტუმრები რამდენჯერმე დაჯარიმდნენ, აქედან ხამაშურიძემ და გიორგაძემ ორი ჯარიმის გამოყენება შეძლეს.

ამრიგად, ამ უაღრესად დაძაბულ, საინტერესო და კორექტულად ჩატარებულ შეხვედრაში „მშენებელმა" საპატიო გამარჯვება მოიპოვა — 12:10.

**თამაზ ხარაბაძე**
**(„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი).**

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**საქართველოს** პროფსაბჭოს სპორტსაზოგადოებათა სამმართველოს № 2 ფიზკულტურის სახლის დირექცია იწვევს სპორტულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მეცადინეობის მსურველებს. ჯგუფში საჯაროდ დღეებს თვით მსურველები შეარჩევენ. მეცადინეობა დაიწყება რვის ნახევარზე და ათის ნახევრამდე გაგრძელდება.

მისამართი: ლენინის ქუჩა № 37 (კიროვის პარკი). ჯგუფებში ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ჯანმრთელობის ცნობა.

მისამართი: 380096. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 07541